სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ.N 1

,,ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„-22-“---06-- 2017 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N31/36

01.01.2015წ. – 01.01.2017წ.

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 3

შესავალი 5

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 5

აუდიტორის პასუხისმგებლობა 5

აუდიტის საგანი 5

აუდიტის მასშტაბი 6

გამოყენებული კრიტერიუმები 6

აუდიტის მიზანი 6

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ 7

შესყიდვების განხორციელებისას საჭიროებების განსაზღვრის და დაგეგმვის ნაკლოვანებები 9

სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანება 9

სახელშეკრულებო ღირებულებების მნიშვნელოვანი შემცირებები 12

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებული ხარვეზები 14

შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება 16

შესყიდვის ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლების განსაზღვრაში არსებული ნაკლოვანება . 17

შპს „ლუმენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება 23

ავტომანქანების და თანმდევი მომსახურების შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები 25

ავტომანქანების განბაჟებისას გადახდილი იმპორტის გადასახადი 31

სანომრე ნიშნების დასამზადებელი ალუმინის ფირფიტების შესყიდვა 33

შეწყვეტილი ტენდერი 35

შსს სტრუქტურული ერთეულების დაფინანსება 37

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (01.01.2015წ. - 01.01.2017წ.) შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა ნაკლოვანებები შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, კერძოდ, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შემთხვევაში კონკრეტული ობიექტების **სამუშაოების შესყიდვა დაიგეგმა და განხორციელდა არათანმიმდევრულად**. მაგალითისთვის, დაგეგმილი იყო მხოლოდ საწყობის და ცალკეული ოთახების მშენებლობა, ხოლო მშენებლობის პროცესში გადაწყდა მეორე სართულზე საოფისე ფართის მოწყობაც, რისთვისაც გამოცხადდა სხვა ტენდერი. დაგეგმვაში არსებული ხარვეზები თავის მხრივ წარმოშობს არაეკონომიური ხარჯვის რისკებს.

ხელშეკრულებებში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გამოიხატება შესყიდვის სახეობათა და რაოდენობების ცვლილებაში, ასევე მიუთითებს **შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე, კერძოდ, საჭიროებების იდენტიფიცირების პრობლემაზე.** ვინაიდან სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ რაოდენობებზე დაყრდნობით ხდება პრეტენდენტების მიერ წინადადებების წარმოდგენა, შესაბამისი რაოდენობების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელია ტენდერებში კონკურენციის გაზრდა და შესაბამისად ეკონომიური ხარჯვის უზრუნველყოფა.

აუდიტის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ბაზრის არასათანადო კვლევის გამო, გარკვეულ შემთხვევებში **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად არის განსაზღვრული** და წარმოდგენილია გაზრდილი ღირებულებით, რის გამოც პრეტენდენტებს ხშირად უწევთ ფასწარმოქნის ადეკვატურობის დასაბუთება. სავარაუდო ღირებულების მაღალი ფასით განსაზღვრამ კონკურენციის არარსებობის პირობებში შესაძლოა არაეკონომიური ხარჯვა გამოიწვიოს. ამასთან, ასეთ ტენდერებში წარმოქმნილი ეკონომიები რეალურად არ წარმოადგენს ეკონომიას.

ცალკეულ შემთხვევებში სააგენტოს მიერ სატენდერო დოკუმენტაციებით **შესყიდვის ობიექტების ტექნიკური პარამეტრები განსაზღვრულია ფიქსირებულად (რისი აუცილებლობაც არ არსებობდა),** რაც განაპირობებს არაკონკურენტულ ტენდერებს და შესაბამისად მაღალფასიან შესყიდვებს.

აუდიტით გამოვლინდა, რომ ავტომანქანების და თანმდევი მომსახურების შესყიდვისას **სააგენტოს მიერ გატარებული ღონისძიებები გარკვეულ შემთხვევაში არ იყო ეკონომიური.**

ამასთან ცალკეულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ სხვადასხვა კომპანიისთვის (სხვადასხვა გარემოების გამო) **ზედმეტად გადახდილია გარკვეული რაოდენობის თანხები, რაც საჭიროებს სახაზინო ანგარიშზე დაბრუნებას.**

წინამდებარე ანგარიშში განხილულია შესყიდვების განხორციელებისას არსებული პრობლემები, ნაკლოვანებები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს:

რეკომენდაცია N1: კონკურენციის უზრუნველსაყოფად და ფულადი სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, შესყიდვების დაგეგმვისას წინასწარ იქნას განსაზღვრული შემსყიდველის საჭიროება, კერძოდ სამუშაოთა სახეობები, მოცულობა, შესასყიდი საქონლის რაოდენობა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელება ან/და ერთიდაიგივე ობიექტზე ახალი ტენდერის გამოცხადება. ამ გზით გამოირიცხება კონკურენციის შედეგად დაფიქსირებული სატენდერო ღირებულებების ცვლილება (მათ შორის ზრდა).

რეკომენდაცია N2: შესყიდვის ეკონომიურად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია შესყიდვების განხორციელებისას სააგენტომ უზრუნველყოს სავარაუდო ღირებულებების სწორად განსაზღვრა, რისთვისაც მნიშვნელოვანია ბაზრის კვლევის მექანიზმის გამოყენება პოტენციური მიმწოდებლების ფართო სპექტრის და არა ერთი ან ორი კომპანიის გამოკითხვით.

რეკომენდაცია N3: ტენდერებში კონკურენციის გაზრდისა და შესაბამისად ეკონომიურად ხარჯვის მიზნით მნიშვნელოვანია სააგენტომ უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციებით შესყიდვის ობიექტების ტექნიკური პარამეტრების ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრის თავიდან არიდება.

რეკომენდაცია N4: შესყიდვების განხორციელებისას მნიშვნელოვანია სააგენტომ უზრუნველყოს ანგარიშწორების ვადების შემცირება, შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად.

რეკომენდაცია N5: მიზანშეწონილი იქნება სააგენტომ აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის ნიშნების არსებობისას მიიღოს შესაბამისი ზომები მასალების სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადასაცემად.

რეკომენდაცია N6: სააგენტომ უზრუნველყოს შპს „მშენ-ელექტრო სერვისისგან“ დამატებით გადასახდელი საურავისა და შპს „ხურსისთვის“ ზედმეტად გადახდილი თანხის სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე დაბრუნება.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სააგენტოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4000), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებული იქნას გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით სააგენტოს საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- ჩატარებული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.
- გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენების მიზანშეწონილობა.

- მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 ივლისის N1397 განკარგულება

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

სააგენტოს ფუნქციები და მიზნები მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების და იარაღის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის მომსახურებას, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობების გაცემასთან (შეცვლასთან, აღდგენასთან) დაკავშირებულ მომსახურებებს, სხვადასხვა სახის ცნობების გაცემას (ნასამართლობასთან, საზღვრის გადაკვეთასთან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცულ სხვა ინფორმაციებთან დაკავშირებით).

სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებებისთვის ზემოაღნიშნული კანონით დაწესებულია სხვადასხვა ოდენობის მომსახურების საფასურები, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები ხმარდება როგორც სააგენტოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარებას. აუდიტის პერიოდში სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ მიუღია.

ცხრილი #1: 2015–2016 წლებში სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთი, მიღებული შემოსავლები და გადასახდელები (ათას ლარებში):

	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
ნაშთი 1 იანვრისთვის	17,777.5	5,781.3	9,817.7
საკასო შემოსავლები	62,177.2	68,186.1	
გადასახდელები	74,173.4	64,149.7	

2015 წლის განმავლობაში შესყიდვების საბოლოო კორექტირებული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 203 შესყიდვა 36,457.3 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. მათ შორის ელექტრონული ტენდერებით (გამარტივებული ელექტრონული ტენდერების ჩათვლით) 36 შესყიდვა 30,884.5 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით, კონსოლიდირებული ტენდერებით 5 შესყიდვა 3,171.0 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 162 შესყიდვა 2,401.8 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით.

ფაქტობრივად წლის განმავლობაში ელექტრონული ტენდერებით განხორციელდა 59 შესყიდვა 11,751.6 ათასი ლარის[1] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. ელექტრონული ტენდერებით მიღებული ეკონომიის საწყისმა მონაცემმა ნომინალურად შეადგინა 1,886.7

[1] გეგმურ და ფაქტობრივ მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ წლიურ გეგმაში მიმდინარე შესყიდვებთან ერთად სააგენტოს შეტანილი აქვს გარდამავალი (მრავალწლიანი) შესყიდვების მთლიანი მონაცემებიც.

ათასი ლარი, რომელიც ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემცირდა 1,874.7 ათას ლარამდე.

2016 წლის განმავლობაში შესყიდვების საბოლოო კორექტირებული გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 251 შესყიდვა 25,913.3 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. მათ შორის ელექტრონული ტენდერებით (გამარტივებული ელექტრონული ტენდერების ჩათვლით) 52 შესყიდვა 21,850.9 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით, კონსოლიდირებული ტენდერებით 5 შესყიდვა 1,776.8 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით, ერთობლივი ტენდერით 2 შესყიდვა 634.1 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 192 შესყიდვა 1,651.5 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. ფაქტობრივად წლის განმავლობაში ელექტრონული ტენდერებით განხორციელდა 93 შესყიდვა 16,021.6 ათასი ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. ელექტრონული ტენდერებით მიღებული ეკონომიის საწყისმა მონაცემმა ნომინალურად შეადგინა 1,893.4 ათასი ლარი, რომელიც ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,014.8 ათას ლარამდე.

დიაგრამა#1: 2015-2016 წლებში ტენდერებით მიღებული ეკონომიების მოცულობა



ტენდერებით მიღებული ნომინალური ეკონომიების გარკვეული ნაწილი განპირობებულია უცხოურ ვალუტაში ხელშეკრულებების გაფორმების შემდგომ ლარის კურსის გამყარებით, ცალკეულ შემთხვევებში კი შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებული გარკვეული ხარვეზებით. ზემოაღნიშნული და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა სახის ხარვეზები გამოვლინდა ქვემოთ აღწერილ შემთხვევებში.

შესყიდვების განხორციელებისას საჭიროებების განსაზღვრისა და დაგეგმვის ნაკლოვანებები

სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანება

შპს „მშენ-ელექტრო სერვისთან“ და შპს „ახალშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები

სააგენტოს ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობის (საწყობი) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 13 მაისს სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[2], შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1,327.7 ათასი ლარი. ტენდერში (რომელშიც მონაწილეობა მიიღო შვიდმა პრეტენდენტმა) ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ღირებულებით გაიმარჯვა შპს „მშენ-ელექტრო სერვისმა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება[3], ღირებულებით 947.0 ათასი ლარი.

შეთანხმების ოქმების[4] საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვიდან რიგი სამუშაოები ამოღებული იქნა (ჯამურად 329.4 ათასი ლარის) და დამატებული იქნა ახალი სამუშაოები ჯამური ღირებულებით 414.6 ათასი ლარი, რის შედეგადაც ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრა 1,026.2 ათასი ლარით[5]. სამუშაოების დასრულების ვადად საბოლოოდ განისაზღვრა[6] 2016 წლის 27 მარტი, მიღება-ჩაბარების აქტები[7] წარმოდგენილი იქნა ჯამურად 1,026.2 ათას ლარზე, რის შესაბამისად აღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

ზემოაღნიშნული ობიექტის მშენებლობის პროცესში გადაწყდა, რომ შენობაში მოწყობილი ყოფილიყო დამატებითი სამუშაო (ოფისის) ოთახები, რისთვისაც საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების ჩატარება.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სააგენტომ (მშენებარე საწყობის შენობაში ანტრესოლზე სამუშაო ოთახების მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით) 2016 წლის 1 აპრილს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[8], შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 448.2 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის (351.0 ათასი ლარი) მქონე პრეტენდენტი შპს „სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ჯეოენერჯი“ დისკვალიფიცირებული იქნა ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობისთვის.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ახალშენი“ სატენდერო წინადადების ღირებულებით 383.0 ათასი ლარი, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება[9], ზემოაღნიშნული ღირებულებით. შეთანხმების ოქმების[10] საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვიდან რიგი სამუშაოები

---

[2] SPA150013786

[3] N336, 2015 წლის 25 ივნისი

[4] N1,N2, N3, N4, N5 და N6

[5] არითმეტიკული შეცდომის გამო 6.0 ათასი ლარით ნაკლებად.

[6] შეთანხმების ოქმი N4

[7] ფორმა N2-ები

[8] SPA160010393

[9] N327, 2016 წლის 2 ივნისი

[10] N1 და N2

ამოღებული იქნა (ჯამურად 76.1 ათასი ლარის) და დამატებული იქნა ახალი სამუშაოები ჯამური ღირებულებით 85.6 ათასი ლარი, რის შედეგადაც ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრა 392.5 ათასი ლარით. მიღება-ჩაბარების აქტების[11] წარმოდგენის შესაბამისად აღნიშნული თანხა ეტაპობრივად გადახდილი იქნა.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის შედეგად (ასევე მიღება-ჩაბარების აქტების შემოწმებით) აღნიშნული შესყიდვების განხორციელების პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. **კერძოდ:**

- ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში (რომლებიც გაფორმდა ჩატარებული ელექტრონული ტენდერების საფუძველზე) განხორციელდა არსებითი ცვლილებები. რაც გარდა იმისა, რომ ობიექტის დაპროექტებისა და შესყიდვების დაგეგმვის ხარვეზს წარმოადგენს, წარმოშობს არარაციონალური ხარჯვის რისკს. **განხორციელებული ცვლილებების შედეგად შპს „მშენ-ელექტრო სერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით[12] საბოლოოდ შესასრულებელი სამუშაოები ფაქტობრივად წარმოადგენდა სულ სხვა (ტენდერით გამოცხადებულისგან განსხვავებულ) შესყიდვას.** შედეგად ტენდერით მიღებული ფინანსური ეფექტი გაურკვეველი ხდება.

ანალოგიურ სიტუაციას აქვს ადგილი შპს „ახალშენთან“ გაფორმებული ხელშეკრულების[13] შემთხვევაშიც. ასევე გაურკვეველი ხდება ობიექტის საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გადახდილი თანხის ეკონომიურობაც[14] (რადგან პროექტიც და საპროექტო ხარჯთაღრიცხვაც რამდენჯერმე შეიცვალა).

- ზემოაღნიშნული ობიექტის სამუშაოების შესყიდვა დაიგეგმა და განხორციელდა არათანმიმდევრულად, რაც იმაში გამოიხატა, რომ თავიდან დაგეგმილი იყო მხოლოდ საწყობის და ცალკეული ოთახების მშენებლობა (რისთვისაც გამოცხადდა ტენდერი). მშენებლობის პროცესში გადაწყდა მეორე სართულზე საოფისე ფართის მოწყობაც (რისთვისაც გამოცხადდა მეორე ტენდერი). **როგორც შესყიდვების, ასევე მშენებლობის პროექტის წინასწარი სწორი დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო შესყიდვა განხორციელებული ყოფილიყო ერთი ტენდერის ფარგლებში, რაც შესაძლოა მასშტაბის ეკონომიის თვალსაზრისით ნაკლები დანახარჯებით განხორციელებულიყო.**

სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები უკავშირდებოდა სააგენტოში მიმდინარე რეორგანიზაციას, რომელიც განხორციელდა 2016 წლის თებერვალში. რეორგანიზაციის შედეგად სააგენტოს ემატებოდა ახალი სამმართველო და სამსახური.

- შპს „მშენ-ელექტრო სერვისმა“ მე-9, მე-10 და მე-11 ეტაპის სამუშაოები შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით. კერძოდ, დარჩენილი 191.2 ათასი ლარის სამუშაოების ჩაბარების ვადა გადაცილებული იქნა 12 დღით (აქედან 102.4 ათასი ლარის სამუშაოების დოკუმენტები წარდგენილი იქნა 2016 წლის 8 აპრილს), დანარჩენი 88.8 ათასი ლარის სამუშაოების ვადა გადაცილებული იქნა 32 დღით (აქედან 34.9 ათასი ლარის სამუშაოების დოკუმენტები წარდგენილი იქნა 2016 წლის 10 მაისს), ხოლო დარჩენილი 53.8 ათასი ლარის სამუშაოების ვადა გადაცილებული იქნა 74 დღით

[11] ფორმა N2-ები

[12] N336

[13] N327

[14] საპროექტო სამუშაოები შესყიდული იქნა შპს „გეომეფისგან“, რაშიც გადახდილი იქნა 20.0 ათასი ლარი (ხელშეკრულება N449, 18.08.2014წ.).

(წარდგენილი იქნა 2016 წლის 23 ივლისს)[15]. **შესაბამისად დასარიცხი საურავის ოდენობამ შეადგინა 45.6 ათასი ლარი[16]. სააგენტოს მიერ გაანგარიშებისას მექანიკური შეცდომის გამო დარიცხულია და შპს „მშენ-ელექტრო სერვისის“ მიერ გადახდილია საურავი 33.8 ათასი ლარის ოდენობით. დამატებით გადასახდელია 11.8 ათასი ლარი.**

შპს „ხურსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს საჩხერის განყოფილების შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულების შესყიდვის მიზნით სააგენტომ 2014 წლის 22 ოქტომბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[17] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 695.2 ათასი ლარი. ტენდერში (რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა) უფრო დაბალი სატენდერო წინადადების ფასით (658.7 ათასი ლარი) გაიმარჯვა შპს „ხურსმა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება[18] ზემოაღნიშნული ღირებულებით.

მშენებლობის პროცესში ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულებაში განხორციელდა ხუთი ცვლილება, რომელთა საფუძველზეც პროექტიდან ამოღებული იქნა სამუშაოები ჯამური ღირებულებით 115.9 ათასი ლარი (მათ შორის 0.9 ათასი ლარი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე) და დამატებული იქნა ახალი სამუშაოები 199.1 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის 31.4 ათასი ლარი დაემატა საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში ჩადებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯზე).

ზემოაღნიშნული შემთხვევის[19] მსგავსად, ხელშეკრულებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი არსებითი ცვლილებები მიუთითებს ობიექტის დაპროექტებაში და შესაბამისად შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე. ცვლილებების შედეგად მიღებული ხელშეკრულება წარმოადგენდა სულ სხვა (ტენდერით გამოცხადებულისგან განსხვავებულ) შესყიდვას. შედეგად წარმოიშობა არაეკონომიური ხარჯვის რისკი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიღება-ჩაბარების აქტების[20] შემოწმებით გამოვლინდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ტრანსპორტირების ხარჯები დარიცხული იყო მთლიან პირდაპირ ხარჯებზე (ნაცვლად მხოლოდ მასალების ღირებულებისა), რის შედეგადაც ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა ჯამურად 528.43 ლარი (იხილეთ გაანგარიშება):

[15] ვადაგადაცილების დღეები ათვლილია შესაბამისად: 27 მარტიდან 8 აპრილამდე, 8 აპრილიდან 10 მაისამდე და 10 მაისიდან 23 ივლისამდე.

[16] 191.2*0.5%*12+88.8*0.5%*32+53.8*0.5%*74

[17] SPA140024623

[18] N623, 2014 წლის 24 ნოემბერი

[19] SPA150013786

[20] ფორმა N2

ცხრილი #2: ზედმეტად გადახდილი თანხის გაანგარიშება:

მ/ჩ ეტაპი	ფ.N2-ის თარიღი	თანხა ფ.N2-ის მიხედვ.	კორექტირებული თანხა	სხვაობა
N6	20.04.2015	253.92	182.5	71.42
N7	05.05.2015	1029.19	858.32	170.87
N8	21.05.2015	373.73	322.49	51.24
N9	02.06.2015	649.3	528.18	121.12
ჯამი				414.65
დარიცხული მოგების (8%) და დღგ-ს (18%) ჩათვლით				**528.43**

სახელშეკრულებო ღირებულებების მნიშვნელოვანი შემცირებები

ცალკეულ შემთხვევებში ტენდერების საფუძველზე გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებულია ცვლილებები სახელშეკრულებო ღირებულებების მნიშვნელოვანი შემცირების კუთხით. კერძოდ, შესყიდვები განხორციელებულია ტენდერებით გამოცხადებულისგან განსხვავებული პრეისკურანტით (მიუხედავად იმისა, რომ ერთეულის ფასები არ იცვლება) და რაოდენობით, რის შედეგადაც ფაქტობრივად ტენდერების მოთხოვნებისგან განსხვავებული შესყიდვები მიიღება. **აღნიშნული შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. მაგალითად:**

- **სამშენებლო მასალების** (18 სახეობა) შესყიდვის მიზნით 2016 წლის 1 ივლისს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA160019045) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 35.0 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „კაპიტალ+“ (სატენდერო წინადადების ღირებულებით 28.0 ათასი ლარი), რომელთანაც 2016 წლის 26 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება[21] ღირებულებით 28.0 ათასი ლარი. შეთანხმების ოქმის[22] საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა თითქმის სამჯერ - 9.7 ათას ლარამდე (სახეობათა რაოდენობა შემცირდა 11-მდე, ასევე შეიცვალა ერთეულების რაოდენობები).

- **სხვადასხვა სახის ბლანკების და სტიკერების** (10 სახეობა) შესყიდვის მიზნით 2015 წლის 31 მარტს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[23] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 20.2 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „კაბადონი+“ (სატენდერო წინადადების ღირებულებით 20.2 ათასი ლარი), რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება[24] ღირებულებით 20.2 ათასი ლარი. 2015 წლის 4 დეკემბრის შეთანხმების ოქმის საფუძველზე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით

[21] N445
[22] 2016 წლის 29 ნოემბრის (N1)
[23] SPA150010066
[24] 2015 წლის 23 აპრილს N191 ხელშეკრულება

ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 8.5 ათას ლარამდე (სახეობათა რაოდენობა განისაზღვრა 7-ით).

დასკვნა

შესყიდვების განხორციელებისას საჭიროებების განსაზღვრისა და დაგეგმვის ნაკლოვანებები გამოვლინდა სხვადასხვა მიმართულებით. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შემთხვევაში კონკრეტული ობიექტების სამუშაოების შესყიდვა დაიგეგმა და განხორციელდა არათანმიმდევრულად. მაგალითისთვის, თავიდან დაგეგმილი იყო მხოლოდ საწყობის და ცალკეული ოთახების მშენებლობა. მშენებლობის პროცესში გადაწყდა მეორე სართულზე საოფისე ფართის მოწყობაც, რისთვისაც გამოცხადდა სხვა ტენდერი. დაგეგმვაში არსებული ხარვეზები თავის მხრივ წარმოშობს არაეკონომიური ხარჯვის რისკებს. ამასთან, სამუშაოს ვადაგადაცილებით შესრულებისთვის მიმწოდებლის მიერ დამატებით გადასახდელია 11.8 ათასი ლარი.

გარკვეულ ხელშეკრულებებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გამოიხატება შესყიდვის სახეობათა და რაოდენობების ცვლილებაში, ასევე მიუთითებს შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე, კერძოდ, საჭიროებების იდენტიფიცირების პრობლემაზე. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ რაოდენობებზე დაყრდნობით ხდება პრეტენდენტების მიერ წინადადებების წარმოდგენა. შესაბამისი რაოდენობების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელია ტენდერებში კონკურენციის და შესაბამისად ეკონომიური ხარჯვის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები სააგენტოს

- კონკურენციის უზრუნველსაყოფად და ფულადი სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, შესყიდვების დაგეგმვისას წინასწარ იქნას განსაზღვრული შემსყიდველის საჭიროება, კერძოდ სამუშაოთა სახეობები, მოცულობა, შესასყიდი საქონლის რაოდენობა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ხელშეკრულებებში ცვლილებების განხორციელება ან/და ერთიდაიგივე ობიექტზე ახალი ტენდერის გამოცხადება. ამ გზით გამოირიცხება კონკურენციის შედეგად დაფიქსირებული სატენდერო ღირებულებების ცვლილება (მათ შორის ზრდა).
- სააგენტომ უზრუნველყოს შპს „მშენ-ელექტრო სერვისისგან“ დამატებით გადასახდელი საურავისა და შპს „ხურსისთვის“ ზედმეტად გადახდილი თანხის სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე დაბრუნება.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრაში არსებული ხარვეზები

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას სააგენტოს მიერ თითოეულ შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოებს ბაზრის კვლევა პოტენციური მიმწოდებლების გამოკითხვის გზით. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში (მიმწოდებელთა სეგმენტის არასწორად შერჩევის, თუ მათ მიერ არასწორად მიწოდებული ინფორმაციის გამო) ტენდერების გამოცხადებისას არასწორად არის განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები.

ასეთ შემთხვევებში (თუ ტენდერში მონაწილეობას არ ღებულობს ბევრი პრეტენდენტი და ადგილი არ აქვს კონკურენციას) წარმოიშობა რისკი, რომ ცალკეულმა კომპანიებმა ისარგებლონ შექმნილი სიტუაციით და გამარჯვებულად გამოცხადდნენ სატენდერო წინადადების ღირებულებით, რომელიც აღემატება შესასყიდი საქონლის თუ მომსახურების საბაზრო ღირებულებას, რის შედეგადაც შესაძლებელია არაეკონომიურად გაიხარჯოს ფულადი სახსრები.

კონკურენციის არსებობის შემთხვევებში კი (თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება გაზრდილად არის წარმოდგენილი) ფასების რეალურ საბაზრო ღირებულებამდე კლებით წარმოშობილი „ეკონომიები“ ფიქტიურ ხასიათს იძენს. ხოლო 20%-ზე მეტით კლების შემთხვევებში პრეტენდენტები ხშირად იძულებული არიან ადეკვატური ფასების შემთხვევაშიც კი ასაბუთონ ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. მაგალითად:

- **ავეჯის (23 სხვადასხვა კომპონენტით)** შესყიდვის მიზნით 2016 წლის 13 მაისს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[25], შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 101.4 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასი (73.3 ათასი ლარი) დააფიქსირა ი/მ გიორგი მინაძემ, რომლისგანაც ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მიზნით მოთხოვნილი იქნა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. ი/მ გიორგი მინაძის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „ჯეო+“-ის მიერ მის სახელზე გამოწერილი ინვოისი, რომელშიც მოცემული იყო სატენდერო დოკუმენტაციით აღწერილი ავეჯი კომპონენტების მიხედვით, გასაყიდი ფასით ჯამურად 57.5 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით (პრეტენდენტი კი ადგილობრივ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის გზით უმატებდა ფასს 15.8 ათას ლარს).

სატენდერო კომისიის მიერ აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა მიჩნეული იქნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებად. შედეგად ტენდერში გამარჯვების საფუძველზე ი/მ გიორგი მინაძესთან 2016 წლის 13 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება[26] ღირებულებით 73.3 ათასი ლარი. ტენდერში ფასის 27%-იანი კლება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით, ასევე ის გარემოება, რომ ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტიც კი არ აღმოჩნდა უშუალოდ პროდუქციის მწარმოებელი (ან იმპორტიორი), მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. ტენდერში მონაწილეობა რომ არ მიეღო ოთხ პრეტენდენტს,

[25] SPA160014051

[26] N349

დიდი ალბათობით საბოლოო ფასი ბევრად მაღალი დაფიქსირდებოდა (მაგალითად, ერთ-ერთმა პრეტენდენტმა დააფიქსირა ფასი 91.5 ათასი ლარი).

- **შენობა-ნაგებობების დასუფთავების** (ვიტრაჟების წმენდის და კერამოგრანიტის იატაკების მორეცხვის) მომსახურების შესყიდვის მიზნით სააგენტომ 2016 წლის 9 დეკემბერს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[27] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 140.8 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით (მომსახურების გაწევის ვადა 12 თვე).

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს სატენდერო წინადადების ფასები: შპს „სუფთა სამყარო“ - 78.3 ათასი ლარი, ამხანაგობა „უნიქლინ მასტერ“ - 78.3 ათასი ლარი (ერთი ლარით ნაკლები). სხვადასხვა მიზეზით დისკვალიფიცირებული იქნა ორივე პრეტენდენტი, რის შედეგადაც ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. 2017 წლის 12 იანვარს სააგენტომ განმეორებით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[28] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 73.8 ათასი ლარი დღგ-ს გარეშე (მომსახურების გაწევის ვადა 11 თვე). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა. უფრო დაბალი სატენდერო წინადადების ფასი (58.4 ათასი ლარი) დააფიქსირა შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტმა“, რომელიც გამოცხადდა გამარჯვებულად და მასთან 2017 წლის 30 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება[29], ღირებულებით 68.6 ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით. პირველ ტენდერში ფასის 44%-იანი კლება, ასევე მეორე ტენდერში დაახლოებით იგივე ფასის დაფიქსირება (12 თვეზე გადაანგარიშებით), მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების (140.8 ათასი ლარი) არასწორ განსაზღვრაზე.

- **ოთხი ერთეული უწყვეტი კვების წყაროს (UPS)** შესყიდვის მიზნით სააგენტომ 2016 წლის 10 ივნისს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[30] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 48.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ექვსმა პრეტენდენტმა. სამრაუნდიანი ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა რიგით მეორე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „ზუმი“ სატენდერო წინადადების ღირებულებით 24.9 ათასი ლარი (24.8 ათას ლარიანი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „სმგ თრეიდინგი“ დისკვალიფიცირებული იქნა შეთავაზებული საქონლის მოთხოვნილთან ტექნიკური შეუსაბამობის გამო). ზემოაღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. რომ არ ყოფილიყო კონკურენცია (ექვსი პრეტენდენტი), დიდი ალბათობით შესყიდვა განხორციელდებოდა ბევრად მაღალ ფასად (ერთ-ერთმა პრეტენდენტმა შპს „იმგომ“ დააფიქსირა სატენდერო წინადადების ფასი 47.6 ათასი ლარი).

- **მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის სისტემის სერვერების (ინსტალაციით)** შესყიდვის მიზნით სააგენტომ 2015 წლის 21 ოქტომბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[31], შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 2,142.0 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს სატენდერო წინადადების ფასები: შპს „იუ ჯი თი“- 1,280.0 ათასი ლარი, შპს

[27] SPA160030545
[28] SPA170000757
[29] N57
[30] SPA160016969
[31] SPA150028331

„დელტა კომმი“ - 1,277.0 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დელტა კომმი“, რომელთანაც 2015 წლის 18 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება[32] ღირებულებით 1,277.0 ათასი ლარი. ვაჭრობის შედეგად ფასის მნიშვნელოვანი კლება (865.0 ათასი ლარით) მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. კონკურენციის არარსებობის შემთხვევაში შესყიდვა განხორციელდებოდა ბევრად მაღალ ფასად (პრეტენდენტებმა საწყისი ფასები დააფიქსირეს შემდეგი ოდენობებით: შპს „იუ ჯი თი“- 1,683.9 ათასი ლარი, შპს „დელტა კომმი“ - 1,600.0 ათასი ლარი).

შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

ავტოსატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორების შესყიდვის მიზნით სააგენტომ 2015 წლის 20 ნოემბერს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150031024) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 35.1 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ბომს“ - 25.9 ათასი ლარი, შპს „თეგეტა მოტორსი“ - 33.4 ათასი ლარი.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი (შპს „ბომს“) დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არ ჰქონდა „Power Co. LTD” ფირმის აკუმულატორების ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები (თუმცა ატვირთული ჰქონდა დანარჩენი „Mutlu Aku AC” ფირმის აკუმულატორების ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები, რაც მთლიანის 99%-ს შეადგენდა), ასევე ატვირთული არ ჰქონდა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „თეგეტა მოტორსი“, რომელთანაც 2015 წლის 21 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება[33] ღირებულებით 33.4 ათასი ლარი (განხორციელებული ცვლილებით შემცირდა 26.0 ათას ლარამდე). **შპს „ბომს“-ის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ ატვირთული „Power Co. LTD” ფირმის აკუმულატორების ღირებულება სატენდერო წინადადების მთლიან ღირებულებასთან შედარებით (25.9 ათასი ლარი) იყო ძალზედ უმნიშვნელო (5 ერთეული - 270 ლარი, ანუ მთლიანი ღირებულების 1%).** შესაბამისად კანონით განსაზღვრული რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არ იყო მიზანშეწონილი.

სააგენტოს პოლიტიკა თითქმის ყველა ტენდერში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნასთან დაკავშირებით არ არის მიზანშეწონილი (განსაკუთრებით ისეთ საქონელზე, როგორიცაა ავტოსათადარიგო ნაწილები[34]). აღსანიშნავია ისიც, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იქნა ზუსტად შპს „თეგეტა მოტორსის“ მიერ მიწოდებული ფასების შესაბამისად. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინების

[32] N629

[33] N632

[34] როგორც ცნობილია ერთიდაიგივე ხარისხის ავტოსათადარიგო ნაწილები ავტომომსახურების ბრენდ ცენტრებში რამდენიმეჯერ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ჩვეულებრივ სავაჭრო წერტილებში. შესაბამისად ტენდერებში 20%-ზე მეტით ფასების კლება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ სააგენტოს მიერ დაზოგილი ყოფილიყო გარკვეული ოდენობის ფულადი სახსრები.

დასკვნა

ზემოაღნიშნულ მაგალითებში განხილული ხარვეზები მიუთითებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად არის განსაზღვრული და წარმოდგენილია გაზრდილი ღირებულებით, რის გამოც პრეტენდენტებს ხშირად უწევთ ფასწარმოქნის ადეკვატურობის დასაბუთება. სავარაუდო ღირებულების მაღალი ფასით განსაზღვრამ კონკურენციის არარსებობის პირობებში შესაძლოა არაეკონომიური ხარჯვა გამოიწვიოს. ამასთან, ასეთ შემთხვევავში წარმოქმნილი ეკონომიები რეალურად არ წარმოადგენს ეკონომიას.

რეკომენდაცია სააგენტოს

შესყიდვის ეკონომიურად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია შესყიდვების განხორციელებისას სააგენტომ უზრუნველყოს სავარაუდო ღირებულებების სწორად განსაზღვრა, რისთვისაც მნიშვნელოვანია ბაზრის კვლევის მექანიზმის გამოყენება პოტენციური მიმწოდებლების ფართო სპექტრის და არა ერთი ან ორი კომპანიის გამოკითხვით.

შესყიდვის ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლების განსაზღვრაში არსებული ნაკლოვანება

ტენდერების საშუალებით შესყიდვების განხორციელებისას ცალკეულ შემთხვევებში სატენდერო დოკუმენტაციებში შესასყიდი საქონლის აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა სიდიდეების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა, ან საერთოდ საჭიროება აუცილებლობას არ წარმოადგენდა და აკმაყოფილებდა მხოლოდ კონკრეტული პრეტენდენტის ინტერესებს.

ზოგჯერ პრეტენდენტების მიერ შეთავაზებული იყო ისეთი საქონელი, რომელთა ტექნიკური პარამეტრები ზუსტად ემთხვეოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ფიქსირებულ პარამეტრებს, რაც მიუთითებს, რომ ტექნიკური მოთხოვნები შედგენილი იყო კონკრეტული მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე. ასეთ პირობებში ტენდერებში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, რითაც ავტომატურად გამოირიცხებოდა კონკურენცია და ფასის კლება.

აღნიშნული პრეტენდენტი ტენდერებში იმარჯვებდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით, რაც არ უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. მაგალითად:

- 160 ერთეული სპეცავტომობილის შეძენის მიზნით (შემდგომ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის გადასაცემად) 2014 წლის 28 აპრილს სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[35] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 9,032.3 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა, რომ სატენდერო წინადადების ფასი შედგებოდა ორი კომპონენტისგან - ავტომობილის ღირებულებისგან და რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტის ღირებულებისგან (დღგ-ს გარეშე). სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრებოდა სატენდერო წინადადების ღირებულებაზე აბონემენტის ღირებულებიდან გაანგარიშებული დღგ-ს დამატებით.

სატენდერო დოკუმენტაციით შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრების აღწერისას მართვის სისტემასთან დაკავშირებით მოთხოვნილია, რომ ავტომატური გადაცემათა კოლოფის მართვის ბერკეტი განთავსებული ყოფილიყო საჭის სვეტზე. აღნიშნული მოთხოვნა (სხვა პარამეტრებთან ერთობლიობაში) წარმოადგენდა პირდაპირ მინიშნებას[36] ავტომობილის კონკრეტულ მოდელზე (ფორდი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა - შპს „ჯი - თი მოტორსმა“, რომელმაც კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით და მასთან 2014 წლის 2 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება[37], ღირებულებით 9,238.4 ათასი ლარი.[38]

- ასევე, 34 ერთეული სპეცავტომობილის შეძენის მიზნით 2015 წლის 27 აგვისტოს სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[39] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 2,497.7 ათასი ლარი, რომელიც შედგებოდა ორი კომპონენტისგან - ავტომობილის ღირებულებისგან და რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტის ღირებულებისგან (დღგ-ს გარეშე). ზემოაღნიშნულის ანალოგიურად, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრების აღწერისას მართვის სისტემასთან დაკავშირებით სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია, რომ ავტომატური გადაცემათა კოლოფის მართვის ბერკეტი განთავსებული ყოფილიყო საჭის სვეტზე. აღნიშნული მოთხოვნა ასევე წარმოადგენდა პირდაპირ მინიშნებას ავტომობილის კონკრეტულ მოდელზე (ფორდი). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა პრეტენდენტმა - შპს „ჯი-თი მოტორსმა“, რომელმაც კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით. მათ შორის: ავტომანქანების ღირებულება - 2,254.5 ათასი ლარი (რომელიც დაკონვერტირდა აშშ

---

[35] SPA140011197

[36] ტექნიკური პარამეტრები აღნიშნული სახით მოთხოვნილი იყო თვითონ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ.

[37] N314

[38] ისევე როგორც ზემოაღნიშნული შესყიდვის დროს (SPA140016703), ამ შემთხვევაშიც რეგლამენტირებული სერვისის ანაზღაურება მოხდებოდა სრულად იმისდა მიუხედავად, ისარგებლებდა თუ არა სერვისით (ან რა მოცულობით ისარგებლებდა) საპატრულო პოლიცია შეძენილ ავტომანქანებთან დაკავშირებით.

[39] SPA150023660

დოლარში - 923.4 ათასი აშშ დოლარი) და რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტის ღირებულება დღგ-ს გარეშე – 243.2 ათასი ლარი.[40]

- პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის მიზნით 2015 წლის 28 თებერვალს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA150006776) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 66.7 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით საქონლის ტექნიკური მახასიათებლების აღწერისას მითითებული იყო ისეთი პარამეტრები, რომელთა მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. მაგალითად:



ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ვი დი ჯი გრუპმა“, რომლის მიერ შეთავაზებული საქონლის პარამეტრები ზუსტად ემთხვეოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს[41]. პრეტენდენტმა კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 61.9 ათასი ლარი. სააგენტოსა და შპს „ვი დი ჯი გრუპს“ შორის 2015 წლის 20 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება[42] ღირებულებით 61.9 ათასი ლარი[43].

---

[40] ავტომანქანების მიწოდებასთან დაკავშირებით 2015 წლის 8 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N516 ღირებულებით 923.4 ათასი აშშ დოლარი. რეგლამენტირებულ სერვისთან დაკავშირებით გაფორმდა ცალკე ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის გზით.

[41] რაც იმაზე მიუთითებს, რომ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი საქონლის პარამეტრები სავარაუდოდ განისაზღვრა პრეტენდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

[42] N131

- **ავეჯის შესყიდვის მიზნით** 2014 წლის 27 დეკემბერს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[44] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 46.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით ავეჯის სხვადასხვა კომპონენტების აღწერისას მითითებული იყო ზუსტი ზომები სმ-ებში, მაგალითად, **გორგოლაჭებიანი სავარძელი:**



- სიმაღლე - 101 სმ
- სიგანე - 60.5 სმ
- სიღრმე - 56 სმ
- ორთოპედიული ფორმის
- დასაჯდომის სიგანე - 50 სმ
- დასაჯდომის სიღმე - 48 სმ
- საზურგის სიგანე - 48 სმ
- საზურგის სიმაღლე - 49 სმ
- ფეხის ვარსკვლავის დაიმეტრი - 64 სმ
- ფეხის ვარსკვლავის სიმაღლე - 20 სმ
- სახელურის სიმაღლე - 28
- სახელურის სიგანე - 32 სმ

მაგიდის ნაკრები: სამუშაო მაგიდის ზომა 200 x 100 x 76სმ, ზედაპირის სისქე 75მმ. ფეხების სისქე ქვედა ნაწილში 75მმ, ზემოთ 75მმ.

ტელეფონების ტუმბო: ზომა - 120 x 40 x 65სმ, ზედაპირის სისქე 30მმ. წინ მისადგმელი მაგიდა: საერთო ზომა 100 x 70 x 76სმ, ზედაპირის სისქე 30მმ და ა.შ.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ნოვი სტილი ჯორჯიამ“, რომელმაც კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 45.7 ათასი ლარი. 2015 წლის 16 იანვარს სააგენტოსა და შპს „ნოვი სტილი ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება N27 ღირებულებით 45.7 ათასი ლარი.

– **სპორტული საქონლისა და აღჭურვილობის (ინვენტარის)** შესყიდვის მიზნით 2016 წლის 19 ნოემბერს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ვაჭრობის დაფარული მონაცემებით ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე[45] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 48.9 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით ინვენტარის სხვადასხვა კომპონენტების აღწერისას მითითებული იყო მათი (სარბენი ბილიკი, ვერტიკალური ველოტრენაჟორი, მრავალფუნქციური დანადგარი, პრესის სავარჯიშო საწოლი, შტანგის საწოლი და სხვა) ზუსტი წონა და

[43] განხორციელებული ცვლილებით გაიზარდა 62.5 ათას ლარამდე.
[44] SPA140031020
[45] NAT160003564

ზომები. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „მასტერ სპორტმა“, რომელმაც კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით 48.9 ათასი ლარი. 2016 წლის 2 დეკემბერს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება[46] ზემოაღნიშნული ღირებულებით.

– **უნიფორმის** შესყიდვის მიზნით 2016 წლის 20 აპრილს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[47] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 165.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით უნიფორმის სხვადასხვა კომპონენტების (სულ 15 კომპონენტი) ტექნიკური მახასიათებლების აღწერისას მითითებული იყო ფიქსირებული პარამეტრები (ქსოვილის წონა, ნაკერების სიგანე და ა.შ.). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „ლემასმა“, რომელმაც გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით. 2016 წლის 16 მაისს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება[48], ღირებულებით 165.0 ათასი ლარი.

– **23 ერთეული სხვადასხვა ზომის ტელევიზორის შესყიდვის მიზნით** სააგენტომ 2015 წლის 27 იანვარს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[49], შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 31.3 ათასი ლარი.

სატენდერო დოკუმენტაციით საქონლის ტექნიკური მახასიათებლების აღწერისას მითითებული იყო მკაცრად ფიქსირებული პარამეტრები (რისი აუცილებლობაც არ არსებობდა). მაგალითად, ტელევიზორი A: ანალოგიური ფიქსირებული პარამეტრები იყო მოთხოვნილი დანარჩენ პოზიციებშიც (ტელევიზორების B, C და D მიმართ).

ეკრანის ტიპი - ლედი (LED)

ზომა - 55 ინჩი (140სმ)

გაფართოება - 1920-1080 Full Hd (16:9)

სიხშირე - 120 ჰერცი

დინამიური კონტრასტი - 1000000 : 1

ხედვის კუთხე - 178*

პორტები - HDMI x 3

LAN RJ45

USBx2

Multimedia - ფოტო / მუსიკა / ვიდეო

ხმა - 20W (Dolby Digital)

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ელიტელი“ - 30.7 ათასი ლარი, შპს „მეგაპიქსელი“ - 25.8 ათასი

[46] N646
[47] SPA160012316
[48] N290
[49] SPA150002523

ლარი. დაბალი სატენდერო წინაადების ფასის მქონე პრეტენდენტი (შპს „მეგაპიქსელი“) დისკვალიფიცირებული იქნა იმის გამო, რომ საქონლის ჩამონათვალის მე-4 პოზიციით შემოთავაზებული ტელევიზორის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, მოთხოვილი იყო გაფართოება 1920:1080 Full HD, პორტები HDMI x 3, USB x 2. ხოლო შპს „მეგაპიქსელის“ მიერ წარმოდგენილი იყო გაფართოება 1366:768, პორტები HDMI x 2, USB x 1. შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა უფრო მაღალი სატენდერო წინაადების ფასის მქონე შპს „ელიტელი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება[50] ღირებულებით 30.7 ათასი ლარი. სააგენტოს განმარტებით სააგენტოში იმართება სხვადასხვა პრეზენტაციები და ამიტომ სააგენტო მოწოდებულია დანერგოს უახლესი ტექნოლოგიები, თუმცა საოფისე ტელევიზორების შესყიდვის მიზნით ტექნიკური პარამეტრების ზუსტი განსაზღვრა აუცილებელი არ არის და წარმოშობს არაკონკურენტული შესყიდვის განხორციელების რისკებს. ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა შესაძლებელია გარკვეული დიაპაზონის გამოყენებით, რაც არ გამორიცხავს მაღალი შესაძლებლობების მქონე თანამედროვე ტექნიკის შესყიდვას.

- **VOIP ტელეფონების შესყიდვის მიზნით** სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[51], შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 50.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების ფასები: შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“ - 33.9 ათასი ლარი, შპს „დელტა კომმი“ -45.9 ათასი ლარი.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით[52] დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მან არ დააზუსტა საქონლის ზუსტი ტექნიკური მახასიათებლები სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის მიხედვით.

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დელტა კომმი“, ისე რომ არ ყოფილა მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება. კერძოდ, ტექნიკურ აღწერილობაში პრეტენდენტის მიერ მითითებული არ იყო წარმოების ქვეყანა, დისპლეის ტიპი, მითითებული ფერი (თეთრი) განსხვავდებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილისგან (შავი, ნაცრისფერი). 2016 წლის 4 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება[53], ღირებულებით 45.9 ათასი ლარი.

- **ბარათების ქსელური კომბინირებული წამკითხველის/კონტროლერის** შესყიდვის (თანმდევი მონტაჟით/გაშვებით) მიზნით სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[54] ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 38.6 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო, რომ წამკითხველი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 500MHz DSP პროცესორით, არანაკლებ 8MB Flash + 16MB RAM შიდა მახსოვრობით, TCP/IP და RS485 ინტერფეისით, არანაკლებ IP65 სტანდარტის კორპუსით, კორპუსის ზომა არაუმეტეს 50X140X30 მმ, სამუშაო ტემპერატურა არანაკლებ -20C - + 50C დიაპაზონის და ა.შ. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა

[50] N83, 2015 წლის 9 თებერვალი
[51] SPA160019419
[52] ოქმი N2, 19.07.2016წ
[53] N460
[54] NAT160003315, გამოცხადდა 2016 წლის 11 ნოემბერს.

პრეტენდენტმა შპს „ჯი ეს სი“-მ, რომელმაც გაიმარჯვა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით და მასთან 2016 წლის 29 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N643 ღირებულებით 38.6 ათასი ლარი.

შპს „ლუმენთან“ გაფორმებული ხელშეკრულება

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საჭიროებისთვის 170 ცალი საავტომობილო ციმციმის (ხმამაღლა მოლაპარაკით) შესყიდვის მიზნით 2016 წლის 13 აპრილს სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[55] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 292.4 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები: შპს „კოზტრანსი“ - 217.1 ათასი ლარი, შპს „პანო 2007“ - 249.6 ათასი ლარი, შპს „სავაჭრო ჯგუფი“ - 277.8 ათასი ლარი, შპს „ლუმენი“ - 277.9 ათასი ლარი. ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე შპს „კოზტრანსი“ დისკვალიფიცირებული იქნა იმ მოტივით, რომ მის მიერ წარმოდგენილი საქონლის ნიმუშის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამებოდა შემსყიდველი ორგანიზაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს[56], სატენდერო კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც შპს „კოზტრანსის“ მიერ წარმოდგენილი საქონლის ნიმუში შესაბამისობის დადგენის მიზნით გადაუგზავნა საქონლის დამკვეთს და ტექნიკური მოთხოვნების შემდგენ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. დეპარტამენტისგან მიღებული პასუხით გაირკვა, რომ:

– მათ მიერ ვერ დგინდებოდა ციმციმას მედეგობა წყლისა და მტვრის მიმართ IP67, ასევე ვერ დგინდებოდა ინტეგრირებული ხმამაღლამოლაპარაკის წინაღობის და ხმის კომპრესიის დონე, შუქდიოდის ვატიანობა, სირენის ხმის კომპრესიის დონე.

- 17 სახის ციმციმის რეჟიმის შესაძლებლობის ნაცვლად გააჩნდა 14 სახის ციმციმის რეჟიმის შესაძლებლობა, ხმამაღლამოლაპარაკის სიმძლავრე იყო მოთხოვნილზე (100 ვატი) მეტი (150 ვატი), დენის სამუშაო ძალა იყო მოთხოვნილზე (10 ამპერი) მეტი.

- ციმციმას ზომები იყო მოთხოვნილზე (1200x84x311) მეტი (1220x80x300), ასევე სირენის ზომებიც იყო მოთხოვნილზე (153x172x40) მეტი (116x159x60).

იმ მოტივით, რომ არ წარმოადგინეს საქონლის ნიმუშები, დისკვალიფიცირებული იქნენ მომდევნო დაბალი ფასების მქონე პრეტენდენტებიც შპს „პანო 2007“ და შპს „სავაჭრო ჯგუფი“. ტენდერში გამარჯვებულად **გამოცხადდა ყველაზე მაღალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „ლუმენი“,** რომელთანაც 2016 წლის 17 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება[57] ღირებულებით 277.9 ათასი ლარი. ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- რადგან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ვერ დაადგინა საქონლის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები (რაც არ ნიშნავს იმას, რომ საქონელს არ გააჩნდა ეს მახასიათებლები), ასევე იმის გათვალისწინებით რომ საქმე ეხებოდა 60.8 ათასი ლარის

[55] SPA160011563

[56] სატენდერო კომისიის ოქმი N2, 16.05.2016წ

[57] N364

ეკონომიას (277.9-217.1), სატენდერო კომისიას შეეძლო გამოეყენებინა კანონმდებლობით[58] მინიჭებული უფლებამოსილება და ჩაეტარებინა ექსპერტიზა ზემოაღნიშნული ტექნიკური მახასიათებლების დასადგენად (აღნიშნული მოთხოვნა შესაძლებელი იყო ჩადებული ყოფილიყო სატენდერო დოკუმენტაციაშიც და შეესრულებინა პრეტენდენტს).

- არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იყო მოთხოვნილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ (რის საფუძველზეც განისაზღვრა სატენდერო დოკუმენტაციითაც) მაინცდამაინც 17 სახის ციმციმის რეჟიმის შესაძლებლობა და რატომ იქნა დაწუნებული 14 სახის ციმციმის რეჟიმის შესაძლებლობა. არ არის განმარტებული ასევე რატომ იქნა დაწუნებული ცოტათი მეტი სიმძლავრე და დენის ძალა.

- ასევე რატომ იყო მოთხოვნილი (ისევ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ) ციმციმას ზომები ფიქსირებულად მმ-ებში და რა გავლენას ახდენდა მის ექსპლუატაციაზე რამდენიმე მილიმეტრის ცდომილება.

ალტერნატიულ ვარიანტში სააგენტოს შეეძლო გამოეყენებინა კანონმდებლობით[59] მინიჭებული უფლებამოსილება და შეეწყვიტა შესყიდვის პროცედურა, გამოეცხადებინა ახალი ტენდერი დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციით და კორექტირებული სავარაუდო ღირებულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში არსებობდა შესაძლებლობა, რომ დაზოგილი ყოფილიყო ფულადი სახსრები.

დასკვნა

ზემოაღნიშნული მაგალითები მიუთითებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა ტექნიკური პარამეტრების ფიქსირებულად განსაზღვრა (აუცილებლობის გარეშე), რაც განაპირობებს არაკონკურენტულ ტენდერებს და შესაბამისად მაღალფასიან შესყიდვებს.

რეკომენდაცია სააგენტოს

ტენდერებში კონკურენციის გაზრდისა და შესაბამისად ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, მნიშვნელოვანია სააგენტომ უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტების ტექნიკური პარამეტრების ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრის თავიდან არიდება.

---

[58] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე.

[59] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის g^1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

ავტომანქანების და თანმდევი მომსახურების შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საჭიროებისთვის 200 ერთეული ავტომანქანის შესაძენად (შემდგომი გადაცემის მიზნით) 2014 წლის 4 ივლისს სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[60] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 8,420.9 ათასი ლარი.

სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა, რომ სატენდერო წინადადების ფასი შედგებოდა ორი კომპონენტისგან - ავტომობილის ღირებულებისგან და რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტის ღირებულებისგან (ჯამი წარმოადგენდა ფლობის ღირებულებას[61]). ასევე განისაზღვრა, რომ ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი დაკონვერტირდებოდა მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილ ვალუტაში, ხოლო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმდებოდა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ვალუტაში[62].

რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტი გულისხმობდა შემოთავაზებული სატრანსპორტო საშუალების სრულ ტექნიკურ მომსახურებას მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

აბონემენტის ღირებულების ანაზღაურება მოხდებოდა ავტომობილების რეგისტრაციის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი აბონემენტის შემსყიდველისათვის გადაცემიდან ეტაპობრივად, რეგლამენტირებული აბონემენტის ღირებულების საანგარიშო წელში კუთვნილი პროპორციული წილის გადახდის მიხედვით.

ანუ რეგლამენტირებული სერვისის ანაზღაურება მოხდებოდა სრულად იმისდა მიუხედავად, ისარგებლებდა თუ არა სერვისით (ან რა მოცულობით ისარგებლებდა) საპატრულო პოლიცია შეძენილ ავტომანქანებთან დაკავშირებით.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „იბერიასერვისმა“, რომელმაც კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების ღირებულებით (8,420.9 ათასი ლარი). სატენდერო წინადადების მიხედვით აღნიშნული ღირებულება შედგებოდა: 200 ერთეული ავტომანქანის ღირებულებისგან - 7,028.9 ათასი ლარი (ერთეულის ფასი 35,144.58 ლარი) და მათი რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტის ღირებულებისგან - 1,392.0 ათასი ლარი (ერთეულზე 6,960.0 ლარი).

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის[63] მიხედვით შპს „იბერიასერვისის“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად არ შეიცავდა ინფორმაციას ანგარიშსწორების პირობების შესახებ. კერძოდ, ინფორმაციას მოთხოვნილი საანგარიშსწორებო ვალუტის შესახებ.

---

[60] SPA140016703

[61] აღნიშნული შესყიდვისას სააგენტოს გამოყენებული აქვს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული წესის ცალკეული პრინციპები, თუმცა ეს წესი აღნიშნულ შესყიდვაზე სააგენტოს მიერ გავრცელებული არ ყოფილა (დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად).

[62] სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 პუნქტის 3.1.3 ქვეპუნქტის მიხედვით.

[63] N2

შესაბამისად შპს „იბერიასერვისს“ დაევალა არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა წარმოედგინა ინფორმაცია საანგარიშსწორებო ვალუტის შესახებ[64], რის შემდეგაც პრეტენდენტმა მოითხოვა ხელშეკრულების ღირებულების აშშ დოლარში დაფიქსირება.

შედეგად 2014 წლის 12 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება[65], ღირებულებით 4,760.0 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული ავტომანქანები მიწოდებული იქნა ეტაპობრივად, რისთვისაც სააგენტოს მიერ შპს „იბერიასერვისისთვის“ ეტაპობრივად ჯამურად გადახდილი იქნა 9,844.3 ათასი ლარი (რეგლამენტირებული სერვისის ღირებულების ჩათვლით).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „იბერიასერვისისგან“ შეძენილი ავტომანქანებიდან მოგვიანებით 6 ერთეული საპატრულო პოლიციიდან გადაეცა შსს სხვადასხვა ქვედანაყოფებს და მათზე აღარ ვრცელდებოდა რეგლამენტირებული სერვისი, 2015 წლის 18 სექტემბერს[66] ხელშეკრულების ღირებულება შემცირდა 23.8 ათასი აშშ დოლარით და განისაზღვრა 4,736.2 ათასი აშშ დოლარით. თანხა შესაბამისი კურსით (57.0 ათასი ლარი) 2015 წლის 17 ნოემბერს მიმწოდებლის მიერ დაბრუნებული იქნა სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე.

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელებისას არ არის უზრუნველყოფილი კანონმდებლობით გათვალისწინებული რაციონალური ხარჯვის ვალდებულება[67] შემდეგი გარემოებების გამო:

- სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო მოთხოვნილი და არც პრეტენდენტის მიერ იქნა გათვალისწინებული სატენდერო წინადადების ღირებულების შემადგენელი კომპონენტის (რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტის ღირებულების) პრეისკურანტის სახით წარმოდგენა (განფასებული მომსახურების სახეობების და საჭირო ავტონაწილების მიხედვით).

სატენდერო დოკუმენტაციის[68] მიხედვით, შემოთავაზებული სატრანსპორტო საშუალების საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 24 თვეს სატრანსპორტო საშუალების მიწოდების დღიდან გარბენის შეუზღუდავად. აღნიშნული გარანტია უნდა ვრცელდებოდეს ავტომობილის როგორც ძირითად, ასევე სხვა აგრეგატებზე, ელექტრულ მოწყობილობებზე და ელ. გაყვანილობაზე (ანუ 24 თვის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო ყველა მიმართულებით უფასო მომსახურებაზე).

აქედან გამომდინარე რეგლამენტირებული სერვისი (ფასიანი მომსახურება) ავტომატურად შეეხებოდა მხოლოდ ზეთის, ხუნდების, ფილტრის და სანთლების შეცვლას. შესაბამისად დაუსაბუთებელია ერთ ავტომანქანაზე 6,960.0 ლარის ხარჯის გათვალისწინება საგარანტიო პერიოდში მხოლოდ აღნიშნული მომსახურების მიღების მიზნით.

- სააგენტოს მიერ რეგლამენტირებული სერვისის აბონემენტის ღირებულება გადახდილია სრულად, თუმცა სააგენტოსთვის უცნობია მიიღო თუ არა საპატრულო პოლიციამ შესაბამისი მომსახურება, ასევე სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას თუ რა სახის მომსახურება გაეწია

---

[64] 2014 წლის 28 ივლისის #MIA 3 14 01445720 წერილით.

[65] N433

[66] შეთანხმების ოქმის (N1) საფუძველზე

[67] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

[68] 3.3.3 პუნქტი

თითოეულ ავტომანქანას და რამდენჯერ, ადეკვატურია თუ არა გადახდილი ფასი მიღებულ სარგებელთან[69].

- საანგარიშსწორებო ვალუტის დაზუსტებასთან დაკავშირებით სატენდერო კომისიის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, რადგან გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებას საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენს ლარი[70]. გარდა ამისა, სატენდერო დოკუმენტაციის[71] მიხედვით (რასაც ეყრდნობოდა სააგენტოს მოთხოვნა დაზუსტებასთან დაკავშირებით) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ვალუტაში. სატენდერო წინადადებაში კი პრეტენდენტს მითითებული ჰქონდა ლარი. შესაბამისად სატენდერო წინადადება დაზუსტებას არ საჭიროებდა და ამის მოთხოვნა შედიოდა არა სააგენტოს, არამედ პრეტენდენტის ინტერესებში.

- თუ ვივარაუდებთ, რომ ლარის გაუფასურების გამო ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას[72], ხელშეკრულების ღირებულების ლარში დაფიქსირების შემთხვევაში დასაშვები იქნებოდა მისი 10%-ით გაზრდა[73]. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულება გაიზრდებოდა 9,263.0 ათას ლარამდე (842.1 ათასი ლარით). ასეთი გადაწყვეტილებით, შესრულებული იქნებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული[74] ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულ დაცვასთან დაკავშირებით[75] (კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება).

- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ღირებულების აშშ დოლარში დაფიქსირებამ გამოიწვია ის, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებამ გადააჭარბა ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას[76]. შედეგად სააგენტომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს

---

[69] ანალოგიურ პრობლემას აქვს ადგილი ზემოაღნიშნულ სხვა შემთხვევაშიც (SPA140011197, ხელშეკრულება N314, 02.06.2014 შპს „ჯი-თი მოტორსთან).

[70] „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

[71] 3.1.3 პუნქტი

[72] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი).

[73] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (2014 წელს მოქმედი რედაქციის მიხედვით).

[74] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით და მე-7 მუხლით გათვალისწინებული.

[75] შეცვლილი გარემოებების შედეგად წარმოშობილი ზარალის მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილების თვალსაზრისით.

[76] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

„იბერიასერვისს“ მის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასთან შედარებით გადაუხადა 1,423.4 ათასი ლარით მეტი[77].

- **სააგენტოს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების მაქსიმალური ვადების გამოყენების გამო გაცვლითი კურსის ზრდასთან ერთად გადახდილი თანხების ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა**

ხელშეკრულებით ანგარიშსწორება გათვალისწინებული იყო ავტომანქანების მიწოდებიდან არაუგვიანეს 120 დღისა, გადახდის დღისთვის ლარის აშშ დოლართან არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

მიწოდება ფაქტობრივად დამთავრდა 2014 წლის 23 დეკემბერს (ბოლო 5 ერთეული მიწოდებული იქნა 2015 წლის 5 იანვარს). ამ პერიოდში (2014 წლის 1-23 დეკემბერი) ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით მერყეობდა 1.83 - 1.90 ფარგლებში.

სააგენტომ გამოიყენა ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილება და გადახდები განახორციელა 2-4 თვის დაგვიანებით იმ პერიოდში, როდესაც ხელშეკრულება იყო გაფორმებული დოლარში და აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაუფასურების ტენდენცია აქტიურად მიმდინარეობდა. სააგენტოს განმარტებით, ხელშეკრულებით ანგარიშსწორების მაქსიმალური ვადა განსაზღვრული იყო იმ მიზნით, რომ სააგენტოს ლიბერთი ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე ერიცხებოდა წლიური სარგებელი 17%-ის ოდენობით, შესაბამისად სააგენტო ცდილობდა მოეხდინა დამატებითი თანხების აკუმულირება. სააგენტო ვარაუდობდა რომ 120 დღიან პერიოდში საპროცენტო სარგებელი მიღებული იქნებოდა 470.6 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა განხორციელებული გადახდების ფაქტიური ვადებიდან გამომდინარე საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 307.2 ათასი ლარი (იხილე ცხრილი #4).

გადახდების დღეებისთვის ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა. ზემოაღნიშნული თანხების დროულად გადახდის შემთხვევაში (მაგალითად, 2015 წელს გადახდილი თანხების ძირითადი ნაწილი - 3,338.4 ათასი აშშ დოლარი გადახდილი რომ ყოფილიყო 2014 წლის 24 დეკემბერს კურსით 1.8978, ხოლო ბოლო გადახდა - 380.1 ათასი აშშ დოლარის ოდენობით განხორციელებულიყო 2015 წლის 6 იანვარს კურსით 1.8780) სააგენტო დაზოგავდა 649.9 ათას ლარს (ბანკის საპროცენტო სარგებლის დაკარგვის გათვალისწინებით). გაანგარიშება მოცემულია ცხრილებში[78]:

ცხრილი #3: ფაქტობრივი გადახდები გადახდის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად

თარიღი	გადახდილი თანხა ლარში	კურსი	შესაბამისი აშშ დოლარი
12.02.2015	3,213,760.00	2.0248	1,587,198.74
02.03.2015	859,220.00	2.1654	396,795.05

[77] საიდანაც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული 57.0 ათასი ლარი უკან იქნა დაბრუნებული.

[78] ცხრილი #3-ში თარიღები მითითებულია საგადახდო მოთხოვნების სახაზინო სამსახურში წარდგენის დღეების მიხედვით.

09.03.2015	789,596.82	2.174	363,200.01
07.04.2015	1,190,064.40	2.2505	528,800.00
27.04.2015	1,056,306.56	2.2844	462,400.00
14.05.2015	897,682.17	2.3617	380,100.00
ჯამი	8,006,629.95		3,718,493.80

ცხრილი #4. მიღებული საპროცენტო სარგებელი (ცხრილი #3-დან გამომდინარე)

პერიოდი	დღეების რაოდენობა	დასარიცხი ბაზა (ლარებში)	ერთი დღის საპროცენტო განაკვეთი 17/365	დარიცხული საპროცენტო სარგებელი
24.12.14 - 12.02.15	50	8,006,629.95	0.046575342	186,455.77
12.02.15 - 02.03.15	18	4,792,869.95	0.046575342	40,181.32
02.03.15 - 09.03.15	7	3,933,649.95	0.046575342	12,824.78
09.03.15 - 07.04.15	29	3,144,053.13	0.046575342	42,466.25
07.04.15 - 27.04.15	20	1,953,988.73	0.046575342	18,201.54
27.04.15 - 14.05.15	17	897,682.17	0.046575342	7,107.68
სულ				**307,237.33**

ცხრილი #5: შესაძლო გადახდები სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში (ერთ-ერთი ვარიანტი)

თარიღი	აშშ დოლარი	კურსი	შესაბამისი თანხა ლარში
24.12.2014	3,338,393.79	1.8978	6,335,603.73
06.01.2015	380,100.00	1.878	713,827.80
ჯამი	3,718,493.79		7,049,431.53
პოტენციური ეკონომია **649,961.09** ლარი [79]			

[79] 8,006,629.95-307,237.33-7,049,431.53

ანგარისწორების ვადებთან დაკავშირებით მოგვიანებით შესყიდვების სააგენტოც შემსყიდველებზე გასცემს რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ფაქტორის გამო, მანკიერ პრაქტიკას წარმოადგენს გრძელვადიანი ანგარიშსწორების ვადების გამოყენება[80].

- გარდა ამისა, მიწოდების ვადების დარღვევის გამო შპს „იბერიასერვისს" დაეკისრა საურავის გადახდა 22.5 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (რომელიც ბუღალტრულად მოთხოვნებში არ ასახულა). აღნიშნული თანხა მიმწოდებელს აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის გადახდილი არ ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით სააგენტოს შეტანილი აქვს სარჩელი ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

დასკვნა

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, შემოთავაზებული სატრანსპორტო საშუალების საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 24 თვეს სატრანსპორტო საშუალების მიწოდების დღიდან გარბენის შეუზღუდავად. აღნიშნული გარანტია უნდა ვრცელდებოდეს ავტომობილის როგორც ძირითად, ასევე სხვა აგრეგატებზე, ელექტრონულ მოწყობილობებზე და ელ. გაყვანილობაზე (ანუ 24 თვის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო ყველა მიმართულებით უფასო მომსახურებაზე).

დამატებით რეგლამენტირებულ სერვისში (ფასიანი მომსახურება), რომელიც საგარანტიო პერიოდში მოიცავდა მხოლოდ ზეთის, ხუნდების, ფილტრის და სანთლების შეცვლას, სააგენტომ გადაიხადა 1,392.0 ათასი ლარი. შესაბამისად დაუსაბუთებელია ერთ ავტომანქანაზე 6,960.0 ლარის ხარჯის გათვალისწინება საგარანტიო პერიოდში მხოლოდ აღნიშნული მომსახურების მიღების მიზნით.

ამასთან, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ღირებულების აშშ დოლარში დაფიქსირებამ გამოიწვია ის, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულებამ გადააჭარბა ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას[81]. შედეგად სააგენტომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს „იბერიასერვისს" მის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასთან შედარებით გადაუხადა 1,423.4 ათასი ლარით მეტი[82]. თუ ვივარაუდებთ, რომ ლარის გაუფასურების გამო ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას[83], **ხელშეკრულების ღირებულების ლარში დაფიქსირების შემთხვევაში დასაშვები იქნებოდა მისი 10%-ით**

[80] http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/rec-ang.pdf.aspx

[81] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

[82] საიდანაც 57.0 ათასი ლარი უკან იქნა დაბრუნებული.

[83] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი).

გაზრდა[84]. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულება გაიზრდებოდა 9,263.0 ათას ლარამდე (842.1 ათასი ლარით), **შესაბამისად ხელშეკრულების ლარში გაფორმების შემთხვევაში სააგენტო დაზოგავდა დაახლოებით 581.0 ათას ლარს.**

აღნიშნული შესყიდვის განხორციელებისას სააგენტომ გამოიყენა ანგარიშსწორების მაქსიმალური ვადები, რამაც კურსის სწრაფი ზრდის გამო ასევე გაზარდა გადახდილი თანხების ოდენობა.

რეკომენდაცია სააგენტოს

შესყიდვების განხორციელებისას მნიშვნელოვანია სააგენტომ უზრუნველყოს ანგარიშწორების ვადების შემცირება, შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად.

ავტომანქანების განბაჟებისას გადახდილი იმპორტის გადასახადი

საპატრულო პოლიციის ავტომანქანების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერების (SPA150023660 და SPA140011197) სატენდერო დოკუმენტაციებით განსაზღვრული იყო, რომ სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა ყოფილიყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, გარდა აქციზისა და/ან დამატებითი ღირებულების გადასახადისა. ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიწოდების ადგილად მითითებული იყო „DAP საქართველოს საბაჟო ტერმინალი“.

ანალოგიური ფორმულირებით გაფორმდა შემდგომ ხელშეკრულებები (N516, 08.10.2015 და N314, 02.06.2014) გამარჯვებულ პრეტენდენტთან შპს „ჯი თი მოტორსთან“. სატენდერო დოკუმენტაციის და ხელშეკრულებების ზემოაღნიშნული ორი პუნქტი ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, რადგან DAP მიწოდების პირობა თავისი შინაარსით საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული გადასახადების გადახდას ავალდებულებს შემსყიდველს. სააგენტო დაეყრდნო რა მიწოდების პირობასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში არსებულ ჩანაწერს (DAP), განბაჟებასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადი (ორივე ხელშეკრულების მიხედვით ჯამურად 36.8 ათასი ლარი) გადაიხადა თვითონ და არ გაითვალისწინა სატენდერო წინადადების ფასში.

სატენდერო დოკუმენტაციაში და ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ჩანაწერები არ უნდა იწვევდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. შესაბამისად მიზანშეწონილია ყურადღება მიექცეს ანალოგიურ შემთხვევებს, რათა გამოირიცხოს ურთიერთსაწინააღმდეგო და ორაზროვანი ჩანაწერების არსებობა როგორც სატენდერო პირობებში, ასევე ხელშეკრულებებში.

აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის ნიშნები

1000 ლიტრი ავტოსატრანსპორტო საშუალებების უკონტაქტო რეცხვის საშუალების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 17 ივლისს სააგენტომ გამოაცხადა გამარტივებული

[84] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად (2014 წელს მოქმედი რედაქციის მიხედვით).

ელექტრონული ტენდერი (SPA150019891) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 6.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, რომლებმაც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დააფიქსირეს შემდეგი სატენდერო წინადადების ფასები:

ცხრილი #6: სატენდერო წინადადების ფასები

შპს „ეკოლაინი“	**შპს „დი ჯი 2 ქეი ჯგუფი“**	**შპს „კომპანია ECO+“**	**შპს „მირანდუხტი“**	**შპს „ვი აი ჯი“**
6000	4900	4000	3900	3890

ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ვი აი ჯი“, რომელთანაც 2015 წლის 17 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება N435 ღირებულებით 3.9 ათასი ლარი (ლიტრი 3.89 ლარი).

რადგან შპს „ვი აი ჯი“-ს მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი 20%-ზე მეტით ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციის პირობიდან გამომდინარე სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტისგან მოთხოვნილი იქნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მიზნით შპს „ვი აი ჯი“-მ[85] წარადგინა კონკურენტის - შპს „კომპანია ECO+“-ის[86] მიერ მის სახელზე გამოწერილი 2015 წლის 5 აგვისტოს ინვოისი (უნომრო), რომლის მიხედვითაც შპს „კომპანია ECO+“ შპს „ვი აი ჯი“-ს სთავაზობდა ზემოაღნიშნულ სარეცხ საშუალებას 2.0 ათას ლარად (ლიტრი 2 ლარი). ამავე დროს შპს „კომპანია ECO+“ მონაწილეობდა იმავე ტენდერში და სატენდერო წინადადებით სააგენტოს შესთავაზა საქონელი ორჯერ უფრო ძვირად - 4.0 ათას ლარად (ლიტრი 4 ლარად).

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე წარმოიშობა გონივრული ეჭვი, რომ პრეტენდენტების (შპს „კომპანია ECO+“ და შპს „ვი აი ჯი“) მხრიდან ადგილი ჰქონდა აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევას - პრეტენდენტებს (კონკურენტებს) შორის შეთანხმებას სატენდერო წინადადების ფასთან და წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით[87]. თუ კი შპს „კომპანია ECO+“-ისთვის რენტაბელური იყო შპს „ვი აი ჯი“-სთვის საქონლის მიყიდვა 2.0 ათას ლარად (ლიტრი 2 ლარი), რატომ იყო იგივე ფასი მიუღებელი სატენდერო წინადადების წარდგენის დროს (რა შემთხვევაშიც სააგენტო შესყიდვას განახორციელებდა ორჯერ ნაკლებ ფასად).

[85] ს/კ 412700812

[86] ს/კ 406030762

[87] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დანართი N2 (აფიდავიტის ფორმა) მიხედვით.

რეკომენდაცია სააგენტოს

მიზანშეწონილი იქნება სააგენტომ აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის ნიშნების არსებობისას მიიღოს შესაბამისი ზომები მასალების სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადასაცემად[88].

სანომრე ნიშნების დასამზადებელი ალუმინის ფირფიტების შესყიდვა

ავტოსატრანსპორტო საშუალებების 2 000 000 ცალი სანომრე ნიშნის დასამზადებელი ალუმინის ფირფიტების შესყიდვის მიზნით სააგენტომ 2014 წლის 4 აპრილს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[89] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 9,644.0 ათასი ლარი (დღგ-ს გარეშე). მიწოდების პირობა განსაზღვრული იყო ეტაპობრივი სახით, მოთხოვნის შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრამდე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - გერმანულმა კომპანიამ „ERICH UTSCH AG“, რომელმაც გაიმარჯვა სატენდერო წინადადების ღირებულებით 9,605.0 ათასი ლარი. სატენდერო წინადადების ღირებულება დაკონვერტირდა ვაჭრობის დღისთვის არსებული შესაბამისი ოფიციალური კურსით ევროში და კომპანიასთან 2014 წლის 12 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება[90] ღირებულებით 3,944.9 ათასი ევრო დღგ-ს გარეშე (ერთეულის ფასი 1.97244 ევრო).

სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიწოდებულია 1 557 225 ცალი სანომრე ნიშანი, ღირებულებით 3,071.5 ათასი ევრო. ეტაპობრივად გადახდილია 2,782.9 ათასი ევრო (6,957.7 ათასი ლარი გადახდის თარიღებისთვის არსებული შესაბამისი კურსების მიხედვით). მისაწოდებელია კიდევ 442 775 ცალი (ღირებულებით 873.3 ათასი ევრო), რაშიც დარჩენილი კრედიტორული დავალიანების ჩათვლით გადასახდელია 1,162.0 ათასი ევრო. რაც აუდიტის მიმდინარეობისთვის არსებული მიახლოებითი კურსის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ (2.60 ლარი/ევრო), შეადგენს 3,021.2 ათას ლარს, რის შედეგადაც ჯამურად გადასახდელი იქნება დაახლოებით 9,978.9 ათასი ლარი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული შემთხვევის მსგავსად[91] დიდია ალბათობა იმისა, რომ სააგენტოს მიერ გადახდილმა თანხებმა გადააჭარბოს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს (9,605.0 ათას ლარს), რისი გამომწვევი მიზეზიც ხელშეკრულების ღირებულების ყოველგვარი დათქმის გარეშე ევროში დაფიქსირება იქნება.

აღსანიშნავია, რომ N329 ხელშეკრულების ფარგლებში ჯამურად გადახდილი 2,782.9 ათასი ევრო მოიცავს გერმანული კომპანიის მიერ წარდგენილი N550358 და N553747 ინვოისების საფუძველზე მიწოდებული სანომრე ნიშნების ტრანსპორტირების ხარჯებსაც ჯამურად 1092

---

[88] რადგან აღნიშნული ქმედება დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1]-ე მუხლის შესაბამისად.

[89] SPA140009365

[90] N329

[91] ტენდერი SPA140016703, ხელშეკრულება N433 შპს „იბერია სერვისთან“

ევროს. სატენდერო დოკუმენტაციით (შესაბამისად ხელშეკრულებითაც) განსაზღვრული იყო საქონლის მიწოდება „DAP თბილისი-წითელი ხიდის გზის 21-ე კმ, INCOTERMS-2010“-ის შესაბამისად (რაც გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ტრანსპორტირების ხარჯებზე ვალდებულების აღებას). აქედან გამომდინარე ტრანსპორტირების ხარჯებზე პასუხისმგებელი იყო გერმანული კომპანია და სააგენტოს მიერ ზედმეტად გადახდილია 1092 ევრო. გარდა ამისა, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში N445820-1 ინვოისით მიწოდებულ 12000 ცალი ფირფიტის ტრანსპორტირებაზე სააგენტოსა და მიმწოდებელს (გერმანული კომპანია „ERICH UTSCH AG“) შორის გაფორმდა ცალკე ხელშეკრულება[92] ღირებულებით 7500 ევრო (თანხა გადახდილი იქნა 2014 წლის 5 სექტემბერს). აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ეწინააღმდეგება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ პირობებს (ზემოაღნიშნულის ანალოგიურად ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი იყო მიმწოდებელი) და შესაბამისად გაფორმდა კანონმდებლობის მოთხოვნის[93] დარღვევით, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს სატენდერო წინადადებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე. აღნიშნული 7500 ევროც წარმოადგენს ზედმეტად გადახდილ თანხას. სულ ზედმეტად გადახდილი თანხა შეადგენს 8592 ევროს.

სააგენტოს განმარტებით, „**ვინაიდან 2014 წლის 1 სექტემბრიდან მიმოქცევაში შედიოდა ახალი დიზაინის სახელმწიფო სანომრე ნიშნები და იმის გათვალისწინებით, რომ პირველივე დღეებში სანომრე ნიშნებზე იქნებოდა დიდი მოთხოვნა, იდგა საშიშროება იმისა, რომ სანომრე ნიშნების დასამზადებელი ფირფიტების მარაგი ამოწურილიყო მათი მეორე პარტიის მიღებამდე, ანუ 2014 წლის 5 სექტემბრამდე. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ახალი დიზაინის სახელმწიფო სანომრე ნიშნების გარკვეული ნაწილის (12000 ცალი) ტრანსპორტირება მოეხდინა საკუთარი ხარჯებით (შემჭიდროებულ ვადებში) 2014 წლის 25 აგვისტომდე საჰაერო გადაზიდვით, ვინაიდან აღნიშნული მომსახურება გათვალისწინებული არ იყო სანომრე ნიშნების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებით. შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საჰაერო გადაზიდვის სერვისის შესყიდვა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.**

ამასთან, რაც შეეხება N550358 და N553747 ინვოისების საფუძველზე საჰაერო გადაზიდვით მიწოდებული სანომრე ნიშნების ტრანსპორტირების ხარჯებს 1092 ევროს, აღნიშნული განპირობებული იყო აღნიშნულ პერიოდში შესაბაბამისი სახეობის სანომრე ნიშნებზე წინა თვეებისგან განსხვავებით გაზრდილი მოთხოვნით. კერძოდ, თუ გასული თვეების განმავლობაში გაიცემოდა საშუალოდ 20 ცალი აღნიშნული სახეობის სანომრე ნიშანი, აღნიშნულ პერიოდში მოთხოვნა შეადგენდა საშუალოდ 80 ცალს. შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული სახეობის სანომრე ნიშნების საჰაერო გადაზიდვის საშუალებით მოწოდება“.

სანომრე ნიშნების ცვლილება საქართველოს მთავრობის მიერ გაცილებით ადრე იყო დაანონსებული[94], ხოლო მთავრობის დადგენილება (N278) ამასთან დაკავშირებით გამოიცა 2014 წლის 8 აპრილს, რომლის მიხედვითაც ახალი სანომრე ნიშნები ძალაში შედიოდა 1 სექტემბრიდან. შესაბამისად ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინება შესაძლებელი იყო წინასწარ, ტენდერის გამოცხადებისას.

---

[92] N435, 13.08.2014წ

[93] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა.

[94] http://www.newposts.ge/?l=G&id=32790, /http://news.ge/ge/news/story/67115-sanomre-nishnebis-dizaini-itsvleba

შეწყვეტილი ტენდერი

ოთხი კომპლექტი სახელმწიფო სანომრე ნიშნების ჰიდრავლიკური წნეხის, მისი კლიშეების და თერმომტვიფრავი დანადგარის შესყიდვის მიზნით 2016 წლის 23 თებერვალს სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (SPA160006579) შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 784.0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომლებმაც დააფიქსირეს სატენდერო წინადადების შემდეგი ფასები:

შპს „ინფოზავრი ჯგუფი“ - 756.0 ათასი ლარი, გერმანული კომპანია „ERICH UTSCH AG“ - 465.0 ათასი ლარი (განსხვავება 291.0 ათასი ლარი). სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო რომ იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი აღმოჩნდებოდა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, ფასწარმოქმნის ადეკვატურობა დასაბუთებული უნდა ყოფილიყო შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით და/ან ანგარიშ-ფაქტურით (ინვოისით), რომელიც დაადასტურებდა პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას.

დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე გერმანულმა კომპანიამ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგინა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, კერძოდ, კალკულაცია (თვითღირებულების, ტრანსპორტირების ხარჯის და მოგების გაანგარიშებით). ასევე წარმოდგენილი იქნა კომპანია „ERICH UTSCH AG“-ს და კომპანია „Atlas International GmbH”-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება (N12/2015, 15.12.2015), რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს ანალოგიური დანადგარები უნდა მიეწოდებინა სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიციისთვის (ფასი ადასტურებდა ფასწარმოქმნის ადეკვატურობას). სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტედერში გამარჯვებულად გამოცხადდა გერმანული კომპანია „ERICH UTSCH AG“ და გადაწყდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება.

სატენდერო კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში პოლონური კომპანია „Utal Spolka z organiczona odpoweidzialnoscia“-ის მიერ (ს/კ PL7820020695), რომელიც წარმოადგენდა მეორე პრეტენდენტის (შპს „ინფოზავრი ჯგუფი“) ბიზნეს-პარტნიორს აღნიშნული დანადგარების მიწოდებასთან დაკავშირებით. საჩივარში არგუმენტად მოტანილი იყო ის გარემოება, რომ გერმანული კომპანია „ERICH UTSCH AG“-ის მიერ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასადასტურებლად წარმოდგენილი ხელშეკრულების (N12/2015, 15.12.2015) მიხედვით შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს 2016 წლის ოქტომბერში, ანუ აღნიშნული ხელშეკრულებით საქონლის მიწოდების ფაქტი ჯერ არ დამდგარა. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შემსყიდველი გახლავთ გერმანული კომპანია („Atlas International GmbH“), რომელმაც უნდა მოახდინოს საქონლის გადაგზავნა სომხეთში. შესაბამისად, შემსყიდველი გახლავთ გადამყიდველი და არა საბოლოო მომხმარებელი (რომელიც კიდევ უფრო გვიან მიიღებს საქონელს და ხელშეკრულების შედეგი ან საბოლოო ღირებულება გაურკვეველია). ასევე არ არის ნახსენები ინტეგრაცია და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მიმდინარე ტენდერის განუყოფელი ნაწილია და პირდაპირ არის დაკავშირებული ხარჯებთან. საბოლოოდ საბჭოს 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით დაევალა სააგენტოს სატენდერო კომისიას გადაესინჯა გადაწყვეტილება კომპანია „ERICH UTSCH AG“-ის გამარჯვებულად

გამოცხადებასთან დაკავშირებით და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების შეფასება განეხორციელებინა წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის და კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სააგენტოს სატენდერო კომისიის მიერ ბათილად იქნა ცნობილი გადაწყვეტილება გამარჯვებულის გამოვლენასთან დაკავშირებით და განხილული იქნა მის მიერ სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიციისგან მოთხოვნილი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, მოხდა თუ არა კომპანია „ERICH UTSCH AG"-ის მიერ წარმოებული და კომპანია „Atlas International GmbH"-ის მიერ მიწოდებული საქონლის პროგრამული უზრუნველყოფა და ინტეგრირება სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიციის სისტემასთან, აგრეთვე ინფორმაცია - თუ რა სახელშეკრულებო ღირებულებით იქნა მიწოდებული აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა და ინტეგრირება სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიციისათვის.

2016 წლის 15 აპრილს ზემოაღნიშნულ მოთხოვნაზე მიღებული პასუხიდან ირკვევა რომ: სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიცია ახორციელებს სახელმწიფო სანომრე ნიშნების ბეჭდვას კომპანია „ERICH UTSCH AG"-ის მიერ წარმოებული სახელმწიფო სანომრე ნიშნების ჰიდრავლიკური წნეხის და თერმომტვიფრავი დანადგარის მეშვეობით, რომელიც სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიციისათვის მიწოდებულია კომპანია „Atlas international AG"-ს მიერ. მიწოდებული საქონლის პროგრამული უზრუნველყოფა და ინტეგრირების მთლიანი მოცულობა სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიციის სისტემასთან განხორციელდა კომპანია „ERICH UTSCH AG"-ს მიერ უსასყიდლოდ და კომპანია „Atlas International GmbH" კვლავაც გეგმავს მიაწოდოს სომხეთის რესპუბლიკის საგზაო პოლიციას ჰიდრავლიკური წნეხის დამატებითი კომპლექტები. სააგენტოს მიერ გათვალისწინებული იქნა ასევე შემდეგი გარემოებებიც:

- რომ მას გააჩნდა დიდი ხნის ურთიერთობა კომპანია „ERICH UTSCH AG"-თან და მის მიმართ პრეტენზიები არასდროს ჰქონდა. მათ შორის SPA140009365 ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ჰქონდა 2014 წლის 12 ივნისის N329 მოქმედი ხელშეკრულება ღირებულებით 9,605.0 ათასი ლარი (3,944.9 ათასი ევრო), რომლით აღებულ ვალდებულებებს კომპანია სრულად ასრულებდა.

- კომპანიის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ შესყიდვის საგანი როგორც საქართველოში, ისე სომხეთის რესპუბლიკაში იყო და არის ერთიანი საგანი - დანადგარი თავისი პროგრამული უზრუნველყოფით. არც დანადგარს და არც ცალკე პროგრამულ უზრუნველყოფას არ აქვს დამოუკიდებელი ფუნქცია, რომელსაც ერთმანეთის გარეშე შეასრულებენ. ამგვარად კომპანიამ დაადასტურა (რაშიც არსებობდა ეჭვი), რომ მისი სატენდერო წინადადების ღირებულება მოიცავდა პროგრამული უზრუნველყოფის ფასსაც.

- კომპანიის განმარტება ფასებთან დაკავშირებით, რომ ახლად შექმნილი დანადგარი და პროგრამა (რომელიც სომხეთის რესპუბლიკას მიეწოდა), რა თქმა უნდა თავდაპირველად ბევრად უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე მომდევნო წლებში (მაგალითისთვის, კონკრეტული ტელეფონის მოდელი გამოსვლის წელს ბევრად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მომდევნო წელს).

- კომპანია „ERICH UTSCH AG"-მა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

- საქმე ეხებოდა 291.0 ათასი ლარის ეკონომიას.

- სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო გათვალისწინებული წინასწარი გადახდა (ანგარიშსწორება განხორციელდებოდა შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 20 კალენდარულ დღეში).

შედეგად სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი N5,18.04.2016) ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ისევ კომპანია „ERICH UTSCH AG“ და გადაწყდა მასთან ხელშეკრულების გაფორმება. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელმეორედ იქნა გასაჩივრებული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში კომპანია „Utal Spolka z organiczona odpoweidzialnoscia“-ის მიერ.

საბჭომ კვლავ მიიღო გადაწყვეტილება დაევალებინა სააგენტოსთვის გადაესინჯა თავისი გადაწყვეტილება. სააგენტოს სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და შეწყვიტა ტენდერის პროცედურები.

დღეის მდგომარეობით სააგენტო საქმიანობას ახორციელებს ძველი დანადგარით.

აუდიტის ჯგუფის აზრით მომჩივანი მხარის მიერ მოტანილი არგუმენტები ყოვლად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო, რადგან მათი მტკიცება კონკურენტის პროდუქციის მიმართ ფასწარმოქმნის არაადეკვატურობასთან დაკავშირებით არ ეფუძნებოდა პროდუქციის თვითღირებულების რეალურ გაანგარიშებას და მხოლოდ ზოგადი ვარაუდებით შემოიფარგლებოდა (განსხვავებით კონკურენტი კომპანიისგან). აქედან გამომდინარე სატენდერო კომისიის მიერ პირველი გადასინჯვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება (კომპანია „ERICH UTSCH AG“-ის ისევ გამარჯვებულად გამოცხადება) სახელმწიფო ინტერესების შესაბამისია. მიზანშეწონილი იქნებოდა მეორე გადასინჯვის შემდეგაც სატენდერო კომისიას გამარჯვებულად გამოეცხადებინა კომპანია „ERICH UTSCH AG“.

შსს სტრუქტურული ერთეულების დაფინანსება

გარდა საკუთარი საჭიროებისთვის გაწეული გადახდებისა, სააგენტო ახორციელებს შსს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დაფინანსებასაც („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 17 იანვრის N56 ბრძანებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე). დაფინანსება წარმოებს სამი სხვადასხვა ფორმით:

- სააგენტო თვითონ ახორციელებს შესყიდვების პროცედურებს შსს სხვა ერთეულის საჭიროებისთვის (ანუ აცხადებს ტენდერებს ან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებს ხელშეკრულებებს).

- სააგენტო აფინანსებს შსს სხვა ერთეულების მიერ განხორციელებულ შესყიდვების პროცედურებს.

- გადასცემს ფულად სახსრებს ტრანსფერის სახით შსს სხვა სსიპ-ებს.

2015 წლის განმავლობაში შსს სხვადასხვა ქვედანაყოფების საჭიროებისთვის სააგენტოს გადახდილი აქვს ჯამურად 31,702.9 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის განმავლობაში შსს სხვადასხვა ქვედანაყოფების საჭიროებისთვის სააგენტოს გადახდილი აქვს ჯამურად 28,954.4 ათასი ლარი. (იხილეთ ცხრილი #7):

ცხრილი #7: გადახდები 2015–2016 წლებში არასაკუთარი საჭიროებისთვის (ათას ლარებში)

	2015 წელი	2016 წელი
გადახდილი თანხები ჯამურად	**31,702.9**	**28,954.4**
საწვავის ხარჯი	17,577.8	6,838.9
ავტომობილების შესაძენად	11,805.8	7,814.9
სხვადასხვა აქტივების შესაძენად	2,319.3	4,173.8
ავტომობილების დაზღვევის ხარჯი		1,448.2
ფულადი ტრანსფერები შსს-ს სსიპ-ებს		1,185.0
შსს-ს სასაზღვრო პოლიციის კატარღების აღჭურვილობის შესაძენად[95]		7,493.6

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის N2553 განკარგულებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 2^2 პუნქტის საფუძველზე სააგენტოს დაევალა 1,000.0 ათასი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანა, რაც განხორციელდა 2015 წლის 30 ნოემბერს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტოს დაფინანსებული აქვს მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სპორტული კლუბი „MIA FORCE”, რომელიც ეწევა სპორტულ საქმიანობას ავტორბოლის სახეობაში. 2015 წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციის „გრანტების“ მუხლით ზემოაღნიშნული ა(ა)იპ-ისთვის სააგენტოს ეტაპობრივად გადარიცხული აქვს 673.8 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის განმავლობაში გადარიცხული აქვს 645.0 ათასი ლარი (სულ 1,318.8 ათასი ლარი).

აღსანიშნავია, რომ შსს სხვა ერთეულების მიერ განხორციელებული შესყიდვების პროცედურების დაფინანსების შემთხვევებში სააგენტო ვერ ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. სააგენტო აწარმოებს მხოლოდ თანხების გადახდას (მათ შორის საავანსოს) და არ ფლობს ინფორმაციას შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით. მაგალითად, უცნობია თუ რა ეტაპზეა კატარღების აღჭურვილობის მიწოდებასთან დაკავშირებული ვალდებულების

[95] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 ივლისის N1397 განკარგულების საფუძველზე (ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტების GG-P-SAD და GG-P-SAE თანადაფინანსების მიზნით). საგრანტო ხელშეკრულებებით განსაზღვრული კატარღების, მარაგნაწილების, აღჭურვილობის და მომსახურების მიღება ზემოაღნიშნული განკარგულებით დაევალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, შემდგომში შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის გადაცემის მიზნით.

შესრულება (გადარიცხულ 7,493.6 ათას ლართან დაკავშირებით არ არსებობს კომუნიკაცია არც თავდაცვის სამინისტროსთან).

ზემოაღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ არსებობს შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე მომსახურების სააგენტოს სხვა სამთავრობო სტრუქტურებთან კოორდინაციის მიმართულებით.

მთავარი აუდიტორი

გია ნადარეიშვილი 22.06.2017

აუდიტორი

მაკა დიხამინჯია 22.06.2017

აუდიტორი

ოთარ ღანიშაშვილი 22.06.2017

აუდიტორ-ასისტენტი

თამარ ბურჯანაძე 22.06.2017

აუდიტორ-ასისტენტი

შორენა არღვლიანი 22.06.2017

აუდიტორ-ასისტენტი

მიხეილ ზავრაშვილი 22.06.2017